## ვან დერ ლინდენის გახსნითი სიტყვა
## საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი

**წარმოთქმული კამპანიის - "ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი" ოფიციალურ წამოწყებასთან დაკავშირებით**

ქალბატონებო და ბატონებო,

დიდ სიამოვნებას მანიჭებს ევროპული ახალგაზრდული კამპანიის - "ყველა განსხავევბული, ყველა თანასწორი" ოფიციალური გახსნა, რომელიც მიმართულია მრავალფეროვნების, ადამიანის უფლებებისა და მონაწილეობისაკენ. ჩემთვის ასევე პატივია მივესალმო ამ დღისათვის მოწვეულ სტუმრებს და მოხარული ვარ ავღნიშნო ჩვენი ორგანიზაციის ყველა ბურჯისა და განსკუთრებით ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორის - ახალგაზრდული ორგანიზაციების თავგანწირვა ამ ახალი კამპანიისადმი.

ბევრმა თქვენგანმა შეიძლება გაიხსენოს 1995 წლის კამპანია რასიზმის, ადამიანის უფლებების, ანტი-სემიტიზმის, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, რომელმაც მიგვიყვანა იმავე ბანერის ქვეშ წამოწყებლ კამპანიამდე სახელწოდებით - "ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი". მეამაყება ასამბლეის აქტიური ჩართვა ამ ყველაზე წარმატებულ ინიციატივაში.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში განახლდა შემოტევები იმ ღირებულებებზე, რომლებიც აძლიერებენ ევროპის საბჭოს მუშაობას; ზოგი ყოველივე იმის წინააღმდეგია, რაც საზოგადოებაში ახალი და განსხვავებულია ეთნიკურობის, რელიგიისა და ცხოვრების სტილის არჩევის თვალსაზრისით.

ამ კამპანიამ შემწყნარებლობის, პატივისცემისა და ურთიერთგაგების მარცვლების დათესვით, რომლებიც მიმართულია მრავალფეროვნების, ადამიანის უფლებებისა და მონაწილეობისაკენ, უნდა გარდაქმნას უარყოფის უნაყოფო ნარჩენები. ჩვენ უნდა ავიღოთ ინიციატივა, რათა წარმოვაჩინოთ ის, რომ მონაწილეობით და ერთმანეთთან შეხვედრით ყველას შეუძლია მოიპოვოს სარგებელი ცხოვრებასა და საზოგადოებრივ პროცესებში.

ასამბლეა მხარს დაუჭერს კამპანიას და მის საქმიანობებს. ამავდროულად, ყველას მოგიწოდებთ ჩერთოთ ეროვნულ დონეზე და ითანამშრომლოთ წევრ სახელმწიფოებში ჩამოყალიბებულ ეროვნული კამპანიის კომიტეტებთან, ისარგებლოთ ჩვენი მხარდაჭერით და გავლენა იქონიოთ იმ საკითხებზე, რომლისკენაც მიმართულია კამპანია.

ქალბატონებო და ბატონებო,

ეს კამპანია მნიშვნელოვანი ელემენტია მესამე სამიტზე მიღებული სამოქმედო გეგმისა და მივესალმები გეგმის მშვენიერი სიტყვების გარდაქმნას ფართო ევროპული მოქმედებისაკენ, რომელსაც ვიწყებთ დღეს.

ვისურვებდი, კამპანია ყოფილიყოს საშუალება დამოკიდებულებების ტრანსფორმაციისათვის, ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვნების უპირატესობის ცნობადობის შექმნისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჭეშამრიტი მონაწილეობის გაძლიერებისათვის, რომელიც დამყარებულია ადამიანის უფლებებზე, და რომელიც თანასწორია მრავალ განსხვავებულობაში.